საიდ. №74124/03

IR 736707

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №175-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ს. ებრალიძე, ს. დუმბაძე, ლ. ახობაძის მდივნობით განიხილა კომპანიის „შერფ კოფიშოპ გმბჰ” (SCHÄRF COFFEESHOP GMBH.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №175-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 23 ივლისის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2100/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „COFFEESHOP COMPANY” (საიდ. №74124/03, IR 736707) დაცვის მინიჭება საქართველოში მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (42-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 23 ივლისის №2100/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "COFFEESHOP COMPANY" (+ გამოსახულება) დაცვას არ ექვემდებარება, რადგან იგი სიტყვიერი ნაწილითა და გამოსახულებით მსგავსია ფიზიკურ პირის დარეჯან თაბუკაშვილის (მის: ვაჟა-ფშაველას I შესახვ. 3/147, თბილისი) სახელზე 43-ე კლასის მსგავსი მომსახურებისათვის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა "COFFEESHOP ესპრესო" (+ გამოსახულება) (რეგ. N22581; რეგ. თარ. 04.05.2012). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შედგება ორი კონცენტრული წრეხაზით, სადაც ერთი წრეხაზი ორივე ნიშანს შესრულებული აქვს მწვანე ფერით, ხოლო მეორე წრეხაზი, რომელიც ჩასმულია შედარებით დიდ წრეხაზში, მართალია, განსხვავებულია ფერით და მასში მოთავსებული გამოსახულებით, მაგრამ მთლიანობაში ნიშნები აღრევამდე მსგავსია. აღნიშნული ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „შერფ კოფიშოპ გმბჰ" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდებიან, როგორც გრაფიკულად (ვიზუალურად), ასევე, ფონეტიკურად (ჟღერადობით) და სემანტიკურად. დაპირისპირებული ნიშნები წარმოადგენენ

კომბინირებულ ნიშნებს. განცხადებული ნიშნის სიტყვიერი ნაწილია "**COFFEESHOP COMPANY",** შესრულებული ლათინურად მთავრული ანბანით, ხოლო დაპირისპირებული ნიშნის სიტყვიერი ნაწილია „**COFFEESHOP ესპრესო"**, შესრულებული ლათინური და ქართული ანბანით, რაც ვიზუალურად აღიქმება განსხვავებულად. განცხადებული ნიშანი შესრულებულია თეთრ, მწვანე, წითელ და შავ ფერებში, ხოლო რეგისტრირებული ნიშანი - თეთრ, ჩალისფერ, მწვანე და ყავისფერ ფერებში, რაც ასევე, აძლიერებს ვიზუალურ განსხვავებას დაპირისპირებულ ნიშნებს შორის. აპელანტის პოზიციით, სრულიად განსხვავებულია დაპირისპირებული ნიშნების გამოსახულებითი ელემენტები. განცხადებული ნიშნის გამოსახულებითი ელემენტი წარმოადგენს წრის ცენტრში მოთავსებულ ყავის მარცვლის გამოსახულებას, რომლის მარჯვნივ ერთმანეთის პარალელურად განლაგებულია ლათინური ასოს „**S**" მსგავსი ორი ორიგინალური ფიგურა. დაპირისპირებული ნიშნის გამოსახულებითი ელემენტი წარმოადგენს წრის ცენტრში მოთავსებულ ორთქლიანი ფინჯნის გამოსახულებას**.** სრულიად ნათელია, რომ ყავის მარცვლისა და 2 სტილიზებული ლათინური ასოს „**S**" გამოსახულება ვერანაირი კრიტერიუმით ვერ იქნება ორთქლიანი ფინჯნის გამოსახულების მსგავსი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები იმდენად განსხვავებულნი არიან ვიზუალურად, რომ სრულიად გამორიცხულია მათი აღრევა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. აპელანტის მითითებით, ნიშნებს შორის გრაფიკული განსხვავება აისახება ნიშნების ფონეტიკურ მახასიათებლებზეც. განცხადებული ნიშანი ქართულად გამოითქმის, როგორც „**კოფიშოპ კომპანი**", მაშინ, როცა დაპირისპირებული ნიშანი გამოითქმის, როგორს „**კოფიშოპ ესპრესო**", შესაბამისად, დაპირისპირებული ნიშნები განსხვავებულნი არიან ფონეტიკურად, ამიტომ გამორიცხულია მათი აღრევა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა მომსახურების შემთავაზებელი კომპანიის მიმართ. მიუხედავად საერთო აღნიშვნისა „**კოფიშოპ**", განცხადებულ და დაპირისპირებულ ნიშნებს შორის სემანტიკური განსხვავება აშკარაა, ვინაიდან დაპირისპირებული ნიშნების

შემადგენელი მეორე ელემენტები „**კომპანი**“ (ქართულად - კომპანია) და „**ესპრესო**“ (ყავის ერთ-ერთი სახეობა) განსხვავებულ შინაარსს სძენს დაპირისპირებულ ნიშნებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნიშნები არ არიან აღრევამდე მსგავსნი და შესაბამისად, არ არსებობს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა საქონლის მწარმოებლის მიმართ. აპელანტის განმარტებით, განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ორივე ფრაზა „**კოფიშოპ კომპანი**“ და „**კოფიშოპ ესპრესო**“, სავარაუდოდ, არ წარმოადგენს სასაქონლო ნიშნების დაცვისუნარიან ელემენტებს, რასაც ამყარებს ის ფაქტიც, რომ საქპატენტში კომპანიის **შპს „ჯორჯიან ბეიქერს“** სახელზე რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი , რეგისტრაციის N 23964, რეგისტრაციის თარიღი 02.09.2013, 30-ე და 43-ე კლასების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვლისათვის, რაც ადასტურებს ზემოთ მოყვანილი ფრაზების არადაცვისუნარიანობას. აქედან გამომდინარე, გაუგებარია ექსპერტიზის არაერთგვაროვანი მიდგომა ნიშნების მსგავსების დადგენის საკითხისადმი, კერძოდ, გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ორივე რეგისტრირებული ნიშნის და გამოსახულებითი ელემენტები ექსპერტიზამ არ ჩათვალა მსგავსად, თუმცა ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, დაუპირისპირა განცხადებულ ნიშანს მიუხედავად მათ გამოსახულებებს შორის არსებული აბსოლუტური განსხვავებისა. თუ მხედველობაში იქნება მიღებული განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების ზემოთ მოყვანილი ანალიზი, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი არ არიან აღრევამდე მსგავსნი და შესაბამისად, არ არსებობს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა

მწარმოებლის მიმართ. აპელანტის პოზიციით, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ არსებობის 15 წლის მანძილზე აპელანტმა კომპანიამ „**შერფ კოფიშოპ გმბჰ**“ მსოფლიოს 29 ქვეყანაში გახსნა 295 ყავახანა და წარმატებულ საქმიანობას ეწევა განცხადებული ნიშნის გამოყენებით. ნიშანი

რეგისტრირებულია მსოფლიოს 23 ქვეყანაში, ხოლო რამდენიმე ქვეყანაში რეგისტრაციის პროცედურა მინდინარეობს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს, საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 23 ივლისის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2100/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „COFFEESHOP COMPANY” (საიდ. №74124/03, IR 736707) დაცვის მინიჭებას საქართველოში მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული კომბინირებული ნიშანი „COFFEESHOP COMPANY“ და დაპირისპირებული ასევე კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „COFFEESHOP ესპრესო“ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ორივე სასაქონლო ნიშანში იდენტურია სიტყვიერი ელემენტი - „COFFEESHOP“, იგი ნიშნების მსგავსების შეფასებისას, არ უნდა იქნეს

მხედველობაში მიღებული, ვინაიდან სიტყვას ,,COFFEESHOP“ 42-ე კლასის განცხადებული მომსახურებისათვის (როგორიცაა: ყავახანები და კაფეტერიები) დაკარგული აქვს განმასხვავებელუნარიანობა და შესაბამისად, იგი არ წარმოადგენს დაცვისუნარიან ელემენტს, ისევე, როგორც არ ექვემდებარება დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას სიტყვიერი ელემენტები ,,ესპრესო“ და ,,Company. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეგიას მიაჩნია, რომ ნიშნები განსხვავდებიან საერთო შთაბეჭდილებით, კერძოდ დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდებიან ვიზუალურად. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ელემენტი, არის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების შუა ნაწილში მოთავსებული გრაფიკული ნახატი, განცხადებული სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში ეს არის ორ ფერში (ყავისფერი და წითელი) სტილიზებულად შესრულებეული ყავის მარცვალი, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში - თეთრი და ყავისფერი კონტურით შესრულებული ყავის ფინჯანი. ორივე სასაქონლო ნიშანში გრაფიკული ნახატის სახით მოცემულია კვამლის, ბოლის ამსახველი გრაფიკული გამოსახულება, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ორივე ნიშანში ეს გამოსახულება მხატვრული შესრულების კუთხით, განხორციელებულია სხვადასხვაგვარად, რაც არ ქმნის მსგავს შთაბეჭდილებას. განცხადებული სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში ეს არის ორი, სქელი კლაკნილის შედეგად მიღებული კვამლის გამოსახულება, რაც ასევე ლათინური ანბანის ასო „S“-ს მოგვაგონებს, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში, სამი გაცილებით წვრილი კლაკნილით შესრულებული კვამლის გამოსახულება. მნიშვნელოვანია ასევე, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავება ფერების მიხედვით. განცხადებულ სასაქონლო ნიშანში, ორივე წრე შესრულებულია მწვანე ფერში, გარკვეული ტონალური განსხვავებით, ხოლო დაპირისპირებულ ნიშანში მწვანე წრეში მოთავსებულია კრემისფერი წრე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეგია მიიჩნევს, რომ დაპირისპირებული ნიშნების ერთ სასაქონლო ბაზარზე თანაარსებობის პირობებში, არ მოხდება მათი აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ამასთან, კოლეგია მიიჩნევს, რომ სიტყვიერი ელემენტები ,,COFFEESHOP COMPANY“ არ ექვემდებარება დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას და ისინი ნიშანში უნდა შევიდეს დაუცველი ნაწილის სახით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნისათვის „COFFEESHOP COMPANY” (საიდ. №74124/03, IR 736707) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „შერფ კოფიშოპ გმბჰ” (SCHÄRF COFFEESHOP GMBH.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 23 ივლისის №2100/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „COFFEESHOP COMPANY” (საიდ. №74124/03, IR 736707) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3. გამოსახულებითი სასაქონლო ნიშანს „COFFEESHOP COMPANY” (საიდ. №74124/03, IR 736707) მიენიჭოს დაცვა მთლიანობაში მომსახურების სრული

განცხადებული ჩამონათვალის მიმართ, ხოლო სიტყვიერი აღნიშვნები „COFFEESHOP“ და „COMPANY“ ნიშანში შევიდეს დაუცველი ნაწილის სახით.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: ს. ებრალიძე

ს. დუმბაძე